**განმარტებითი ბარათი**

**საქართველოს კანონის პროექტზე "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში" ცვლილებების შეტანის შესახებ**

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადების საფუძველია "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი. კერძოდ, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების სასამართლო წესით დაცვის შემთხვევები წინამდებარე კანონი დაწვრილებით არის გაწერილი. ამასთან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული შეზღუდვების გამოყენება სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების დროს "სისტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონით დაცულ სიკეთეებთან დაკავშირებით მათი მნიშვნელობისა და თავისებურებების გათვალისწინებით არამიზანშეწონილია. შესაბამისად წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შესაბამის მუხლებში აუცილებელი დათქმების გაკეთებას.

კანონპროექტის დამტკიცება არ იწვევს დამატებით საფინანსო დანახარჯებს.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ბოკერია.